

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 00 77 95

N 220
19/04/2016

220-07-3-201604191501



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს გიორგი ხელაძეს

მ თ ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 12 აპრილს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ სხდომა №5.

დანართი: სხდომის ოქმი № 5-5 (ხუთი) ფურცელი

პატივისცემით,

ელგუჯა ჩხაიძე

ფრაქციის თავმჯდომარე

ფრაქცია "ლანჩხუთი-ევრო ატლანტიკური მომავლისთვის"

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“
სხდომის ოქმი №5

ქ.ლანჩხუთი

12.04.2016 წელი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძე.

ფრაქციის წევრები: გიორგი გოგუაძე, კახაბერ ასკურავა.

მოწვეული პირები: გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურას“ ფინანსური დირექტორი თენგიზ კიკვაძე, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის დირექტორი სულხან წილოსანი, სოფ.გვიმბალაურის მკვიდრი ვახტანგ ზენაიშვილი, საორგანიზაციო განყოფილებაში საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მთავარი სპეციალისტი მაია კუპატაძე და მედიის წარმომადგენლები.

ფრაქციის თავმჯდომარემ ელგუჯა ჩხაიძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის #47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ელგუჯა ჩხაიძე/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. გვიმბალაურის მკვიდრის ვახტანგ ზენაიშვილის განცხადების განხილვა სტალინის ბიუსტის აღების თაობაზე.

/მომხსენებელი ელგუჯა ჩხაიძე/

3. სხვადასხვა.

ფრაქციის თავმჯდომარემ ელგუჯა ჩხაიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის პირველ საკითხზე– „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის #47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ფრაქციის სხდომას გააცნო გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ 2016 წლის 26 თებერვლის №107 დადგენილებით საქართველოს ფეხბურთის განვითარების (2016-2020 წწ) სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ. მე-3 მუხლის გ.პ პუნქტის თანახმად ფეხბურთის მხარდაჭერისათვის გათვალისწინებული თანხიდან 2016 წლის 1 მარტის მდგომარეობით დარჩენილი რესურსი უნდა მიიმართოს.

ფრაქციის თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძე დაინტერესდა რატომ ხდება მუდმივად ცვლილებების განხორციელება ბიუჯეტში.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ აღნიშნა, რომ საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთის გურია“ უკვე გადასულია ფონდში, ასევე იგეგმებოდა ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლისა და ა(ა)იპ გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლის გადასვლა, მაგრამ ფეხბურთის განვითარების ფონდიდან 29 მარტს მუნიციპალიტეტმა მიიღო წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ მიმდინარე წელს არ არის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება და მუნიციპალიტეტს მის დაქვემდებარებაში არსებული ორგანიზაციების დაფინანსება თხოვეს იგივე წესით, როგორც ხდებოდა გასულ წლებში. ასევე მან აღნიშნა, რომ 100 000 ლარი მიიმართება სტადიონის ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობისთვის, ხოლო დარჩენილი 100 000 ლარი, რომელიც უნდა მიემართათ ბაზის მოვლა-პატრონობისთვის, კლუბის დავალიანების დასაფარად იქნება გამოყენებული საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში.

დეპუტატი გიორგი გოგუაძისთვის გაუგებარი რჩება ფონდის ფუნქცია თუ კი თანხები კვლავ ადგილობრივი ბიუჯეტიდან უნდა გავიდეს. მან კითხვით მიმართა გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსს შოთა ჩაგუნავას თუ რომელი კანონის შესაბამისად არის ვალდებული ადგილობრივი მუნიციპალიტეტი ფონდში ჩარიცხოს თანხა, რაზეც შოთა ჩაგუნავამ განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 107 დადგენილების თანახმად სახელმწიფო პროგრამაში აღნიშნული იყო, რომ ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს, რომლებსაც საკუთარი ბიუჯეტი გააჩნიათ და ახდენენ ფეხბურთის დაფინანსებას, ეთხოვოს თანხის გადარიცხვა ფეხბურთის განვითარების ფონდში, რასაც საკრებულომ მხარი დაუჭირა და მიღებული იქნა ნორმატიული აქტი (დადგენილება), რის შემდეგაც შესაძლებელი გახდა თანხების მიმართვა ფონდში.

დეპუტატი გიორგი გოგუაძე დაინტერესდა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთის გურია“ წლის ბოლომდე ბიუჯეტში ცვლილებით შემოვიდოდა თუ არა?, რაზედაც თენგიზ კიკვაძემ განმარტა, რომ მიმდინარე წელს გარდამავალი პერიოდის დასაფარად ფონდისგან გამოითხოვს თანხას. მან აღნიშნა, რომ ფონდის მიზანია დაინტერესდეს ადგილობრივი ხელისუფლება კლუბი რაც შეიძლება სწრაფად იქნას რეალიზებული. თუ კი სამომავლოდ მოხდება კლუბის აუქციონზე გატანა და ეყოლება კერძო მესაკუთრე, იგი აღარ იქნება დამოკიდებული ადგილობრივ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. ფონდის 4 წლიანი პროგრამა ითვალისწინებს აღნიშნულის მოგვარებას.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ ფონდი საჭიროა არა იმიტომ, რომ ადგილობრივ მუნიციპალიტეტს განუკარგოს თანხები, არამედ მხოლოდ მაშინ იქნებოდა მიზანმიმართული თუ კი სახელმწიფოს მიერ მოხდებოდა ფონდის დაფინანსება და შემდეგ გადანაწილდებოდა თანხები.

დეპუტატმა კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ საკრებულოს უფლებამოსილებაში შედის დააფინანსოს თუ არა მომავალ წელს ა(ა)იპ, მას სრულებით შეუძლია თანხა მიმართოს სხვა ა(ა)იპ-ის დასაფინანსებლად ეს საკრებულოს ესკლუზიური უფლებამოსილებაა. სწორედ ამიტომ მიაჩნია

მას ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციებში ჩარევა სახელმწიფოს მხრიდან, რადგანაც 4 წლიან პროგრამას უფორმებს. დეპუტატი დაინტერესდა თუ ვის მიერ ხდება ხელფასების გაცემა ფონდის ადმინისტრაციის თანამშრომლებზე, რაზედაც შოთა ჩაგუნავამ განმარტა, რომ ფონდი ექვემდებარება სპორტის სამინისტროს და შესაბამისად სამინისტროს მიერვე ხდება ხელფასების გაცემა.

გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ აღნიშნა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ თუ არ მოხდება მის მიერვე დაფუძნებული ა(ა)იპ-ის დაფინანსება, მაშინ დღის წესრიგში უნდა მოხდეს ა(ა)იპ-ის ლიკვიდაციის საკითხის დაყენება.

დეპუტატმა კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას ინტერესი უნდა გააჩნდეს ფონდის მიმართულებით, რომელიც ამჟამად არაფერში ჩანს.

დეპუტატი გიორგი გოგუაძე დაინტერესდა სპონსორის საკითხით, რაზედაც თენგიზ კიკვაძემ განმარტა, რომ სპონსორი არის, მაგრამ ელოდება როდის აიღებს კლუბი ლიცენზიას, რომლის აღებაც მიმდინარე წლის აპრილის თვის ბოლოს იგეგმება.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ გამოთქვა კლუბის მიმართ უკმაყოფილება, ვინაიდან კლუბს ჰყავდა მოწვეული პირები, რომლებსაც უნდა მოეგვარებინა კლუბის ლიცენზიის საკითხი. კლუბმა მათ გადაუხადა გარკვეული თანხა, მაგრამ საკითხი დღესაც მოუგვარებელია.

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ არ იქნა მხარადჭერილი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. გვიმბალაურის მკვიდრის ვახტანგ ზენაიშვილის განცხადების განხილვა სტალინის ბიუსტის აღების თაობაზე სხდომას გააცნო ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარემ ელგუჯა ჩხაიძემ. მან აღნიშნა, რომ სოფ. გვიმბალაურის მკვიდრმა ვახტანგ ზენაიშვილმა განცხადებით მიმართა საკრებულოს, სადაც მას აღნიშნული აქვს, რომ ლანჩხუთის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე დგას მსოფლიოს უდიდესი დიქტატორის, დამოუკიდებელი საქართველოს (1918-1921 წწ) ჯალათის, გახელისუფლებული ბანდიტის და სერიული მკვლელის იოსებ სტალინის ბიუსტი. სილის ტკაცანი, რომელიც ამ ბიუსტის აღმართვით სტალინელებმა დამოუკიდებელ საქართველოში ეროვნულ მოძრაობას გააწნეს, მანამ იხმიანებს, სანამ ბელადის ძეგლი პოსტამენტზე იქნება წამოსკუპებული. ის მიმართავს საკრებულოს ეს საკითხი განიხილონ უახლოეს სხდომაზე და ადეკვატური გადაწყვეტილებები მიიღონ, ვინაიდან ამას კანონიც ავალდებულებთ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. გვიმბალაურის მკვიდრმა ვახტანგ ზენაიშვილმა აღნიშნა, რომ მთავრობას ევროპისკენ ქონდა კურსი, მაგრამ ამჟამად ხდება პრორუსული მიდგომის გაცოცხლება. მან აღნიშნა, რომ ქართული ოცნების პოლიტიკა არის საბჭოური იდეოლოგიის გაღვივების მცდელობა.

დეპუტატმა კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ მოქალაქემ მიმართა საკრებულოს განეხილა და გარკვეულიყო კანონის შესაბამისად შესაძლებელი იყო თუ არა სტალინის ბიუსტის აღება, რის შემდეგაც მის მიერ იქნა მოძიებული საქართველოს კანონი თავისუფლების ქარტიის შესახებ, სადაც ნათლადაა აღნიშნული, მე-7 მუხლის მე-3 ქვეპუნქტში, რომ კომისია აგროვებს ინფორმაციას ადმინისტრაციული ორგანოების მიერ კომუნისტური, ტოტალიტალური ან/და ფაშისტური სიმბოლიკის, აგრეთვე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაზე გამოყენების თაობაზე, ასევე საკულტო ნაგებობების, ძეგლების, მონუმენტების,

სახელწოდებების, აგრეთვე მასობრივი თავშეყრის სხვა ადგილების თაობაზე, რომლებიც შეიცავს კომუნისტური ტოტალიტალური და ფაშისტური იდეოლოგიების და პროპაგანდის ელემენტებს თუ ამ იდეოლოგიების ლიდერთა სახელებს. დეპუტატმა აღნიშნა, რომ აღნიშნული კანონი ავალდებულებს მუნიციპალიტეტებს აღნიშნული საკითხის მოგვარებას.

გამგებობის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ აღნიშნა, რომ პარლამენტში არსებობს შესაბამისი კომისია, რომელსაც უნდა მიმართოს ადგილობრივმა ხელისუფლებამ და უნდა დაველოდოთ მათ პასუხს აღნიშნულ საკითხზე.

დეპუტატმა კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ საკითხი უნდა განიხილოს საკრებულოს ბიურომ და მოახდინოს დროული რეაგირება.

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ.გვიმბალაურის მკვიდრის ვახტანგ ზენაიშვილის განცხადება განხილულ იქნას ბიუროს სხდომაზე და მოხდეს კანონის შესაბამისი რეაგირება აღნიშნულ საკითხზე.

სხვადასხვა

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ ყოფილი სპორტის შენობის შესახებ სამხარაულის ექსპერტიზის მიერ დაიღო დასკვნა, რომ თეთრი აგურით ნაშენი იყო, რის გამოც შენობა არამდგრადი არის და ექვემდებარება დაშლას. იგი დაინტერესდა თუ როგორ უნდა იქნას გაკონტროლებული, რომ თეთრი აგური არ იქნას გამოყენებული მშენებლობაზე, რაზეც შოთა ჩაგუნავამ განმარტა, რომ ხელშეკრულების გაფორმების დროს მოეთხოვება შემსრულებელს, რომ მშენებლობაზე არ იქნას გამოყენებული თეთრი აგური.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“
თავმჯდომარე:



ელგუჯა ჩხაიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ ლანჩხუთი ევროატლანტიკური
მომავლისათვის" წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

12 აპრილი 2016 წელი
12.00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ელგუჯა ჩხაიძე	11:50	
2	გიორგი გოგუაძე	11:45	
3	კახაბერ ასკურავა	11:55	